ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №2

ქ.ახალციხე

09 დეკემბერი 2013 წ

სხდომას ესწრებოდნენ:

ოლეგ სანდროშვილი - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, სატენდერო კომისიის აპარატის ხელმძღვანელი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბესიკ ბლიაძე - სატენდერო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებელის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

მალხაზი ასპანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომრის მოადგილე;

ნინო გოგოლაური - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

მაკა სამსონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

თენგიზ ზედგინიძე- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;

მანანა ბალიაშვილი - საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის შესყიდვების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

ირინა ყურმაშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში;

ემზარ მღებრიშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარები სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში;

ბესარიონ მიქელაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

დღის წესრიგი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ: „ახალციხეში კოსტავას ქ. №18-ში მდებარე ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოებისსაპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის“, კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის 22 ნოემბერს 16:48 **საათზე** გამოცხადებულ № 1034 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ ოლეგ სანდროშვილმა საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაკა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ ბესიკ ბლიაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის „ახალციხეში კოსტავას ქ. №18-ში მდებარე ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოებისსაპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის“, კონკურსის

საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2013 წლის 22 ნოემბერს 16:48 **საათზე** გამოცხადებულ № 1034 კონკურსში ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა- შპს ,,კონტიო"- მ შემდეგ თანხაზე: 1500 (ათას ხუთასი) ლარი.

განხილვა:
შპს ,,კონტიო"- ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს ,,კონტიო"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.
2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ ,,ახალციხეში კოსტავას ქ. №18-ში მდებარე ობიექტის სარეაბილიტაციო სამუშაოებისსაპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის", კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს ,,კონტიო".
3. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატის წევრს მანანა ბალიაშვილს, შპს ,,კონტიო"-ს წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება, გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში.
4. საკონკურსო კომისიის აპარატის წევრს მანანა ბალიაშვილს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება არაუგვიანეს 2013 წლის 09 დეკემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	ო. სანდროშვილი
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	ზ. ბლიაძე
საკონკურსო კომისის მდივანი	მ. სამსონიძე
საკონკურსო კომისიის წევრები	მ. ასპანიძე
	თ. ზედგინიძე
	ნ. გოგოლაური
	მ. ბალიაშვილი
	ი. ყურმაშვილი
	ე. მღებრიშვილი
	ბ. მიქელაძე